

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

ეს დებულება ვრცელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეებსა და თანამდებობის კონკურსის წესით დაკავების მსურველ კანდიდატებზე. განსაზღვრავს კონკურსის/ატესტაციის ჩატარების პრინციპებს, პროცედურებს, ფორმებს, პირობებსა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში – კომისია) საქმიანობის წესს.

მუხლი 2. კონკურსისა და ატესტაციის პრინციპები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის და ატესტაციის პრინციპებია:

- ა) ობიექტურობა - კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
- ბ) გამჭვირვალობა - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;
- გ) არადისკრიმინაციულობა - კონკურსის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა თანასწორობას განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა;
- დ) საჯაროობა - კონკურსის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- ე) კოლეგიურობა - კონკურსის ეტაპები უნდა ჩატარდეს და შედეგები უნდა დამტკიცდეს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის მიერ;
- ვ) კორექტულობა - კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო - საატესტაციო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

თავი II

საკონკურსო-საატესტაციო კომისია

მუხლი 3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსსა და საჯარო მოხელეთათვის ატესტაციას ატარებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში – კომისია).

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

3. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში - საკრებულო).

4. კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ (შეიძლება შედიოდნენ): პროფესიული